საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №153/ნ

2024 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსების დებულებებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის №131 დადგენილების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულება“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრი **გიორგი ამილახვარი**

დანართი

ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულება (შემდგომ – დებულება) აწესრიგებს ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემის, საგრანტო პროექტების განხორციელების, მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების წესს.

2. ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომ – კონკურსი) მიზანია: უზრუნველყოს ქართველოლოგიის მიმართულებით ახალი ჰიპოთეზების და კონცეფციების, შეუსწავლელი ან უცნობი მოვლენების, ფაქტებისა თუ მონაცემების შესწავლა-ანალიზი და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვლევების განხორციელება; ხელი შეუწყოს ქართველოლოგიის მიმართულებით ახალი ცოდნისა და კვლევის რესურსების შექმნას, სასწავლო პროცესებში ინტეგრაციას, საერთაშორისო გავრცელებასა და პოპულარიზაციას, ქართველოლოგიის მეცნიერებაში ახალგაზრდა ტალანტების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდას. გრძელვადიან პერსპექტივაში დაფინანსებულმა კვლევამ ხელი უნდა შეუწყოს ქართველოლოგიის სფეროს გაძლიერებას და მის ჩართვას სახელმწიფო ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში.

3. კონკურსი მოიცავს შემდეგ თემატურ პრიორიტეტებს:

ა) სახელმწიფო ენის სტანდარტიზაცია (ქართული სალიტერატურო ენის ნორმების და დარგობრივი ტერმინოლოგიის განახლება; სახელმწიფო ენის სტანდარტიზაციისთვის ელექტრონული რესურსების

შექმნა); ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენების დოკუმენტირება; ქართული და აფხაზური ენების სწავლების მეთოდოლოგიური რესურსებისა და დისტანციური სწავლების საშუალებების შექმნა; ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება; სახელმწიფო ენის ფუნქციონირება ინტერნეტ სივრცეში, ქართულენოვანი ინტერნეტის განვითარება; ქართული და აფხაზური ენების პოპულარიზაცია;

ბ) ქართული ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების ფუნდამენტური კვლევების განხორციელება, ახალი ცოდნის შექმნა და პოპულარიზაცია;

გ) ისტორიული წყაროების, არტეფაქტებისა და ძეგლების შესახებ სამეცნიერო კვლევების განხორციელება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალი ცოდნის შექმნა და მეცნიერული ინტერპრეტაცია; თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის შესახებ ცოდნის გავრცელებასა და პოპულარიზაციაში;

დ) საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლა, მათი მოძიება, აღრიცხვა და სისტემატიზაცია, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაცია.

4. საგრანტო დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია შემდეგ მიმართულებებში:

ა) ქართული ენა, აფხაზური ენა და ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება;

ბ) ქართული ლიტერატურა;

გ) ქართული ხელოვნება;

დ) ქართული კულტურა;

ე) საქართველოს ისტორია და არქეოლოგია;

ვ) საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებების დეტალურ, ჩაშლილ კლასიფიკატორს, თითოეულ მიმართულებაში შემავალი დარგებისა და ქვედარგების სრულ სიას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეთანხმებით ადგენს და ამტკიცებს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

გამოყენებულ ტერმინებს ამ დებულების მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გენერალური დირექტორი – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი;

ბ) გრანტის მიმღები – კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული, დასაფინანსებლად დამტკიცებული პროექტის ხელმძღვანელი (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში) ან ძირითადი პერსონალი, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთობლივად (გუნდური პროექტის შემთხვევაში);

გ) გუნდური პროექტი – პროექტი, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს გუნდი: ძირითადი პერსონალი, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დამხმარე პერსონალი – ძირითადი პერსონალის გარდა, პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში;

ე) ზედნადები ხარჯები – პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც შეადგენს პროექტის ბიუჯეტის არაუმეტეს 5%-ს;

ვ) თანადამფინანსებელი – იურიდიული ან ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ პროექტს;

ზ) თანამონაწილე ორგანიზაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია, წამყვან ორგანიზაციასთან ერთად, უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

თ) ინდივიდუალური პროექტი – პროექტი, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებობას იღებს ინდივიდუალური მკვლევარი (ერთი ძირითადი პერსონალი);

ი) მიზნობრივი ანგარიში – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული სახაზინო/საბანკო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და განხორციელდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

კ) მოწვეული დარგის ექსპერტი – პირი, რომელიც ჩართულია კონკრეტული პროექტ(ებ)ის შეფასებაში საკონკურსო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე;

ლ) პროექტი – პროექტის ხელმძღვანელის მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ დებულებითა და გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

მ) პროექტის ბიუჯეტი – პროექტის განხორციელებისთვის საჭირო საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით;

ნ) პროექტის შეფასების კრიტერიუმები – ფონდში წარდგენილი პროექტების შესაფასებლად საკონკურსო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ დებულებით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;

ო) პროექტის ხელმძღვანელი – საქართველოს მოქალაქე ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე პირი;

პ) საანგარიშო პერიოდი – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს საგრანტო სახსრების ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს ფონდს ანგარიშს;

ჟ) საბოლოო ანგარიში – საბოლოო ანგარიში მოიცავს პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის მიმღების მხრიდან ფონდში წარდგენილ საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს;

რ) საგრანტო ხელშეკრულება – გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

ს) საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი – საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის შუალედური და საბოლოო პროგრამული და ფინანსური მონიტორინგის პროცედურა;

ტ) საკონკურსო დოკუმენტაცია – გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელთა წარდგენა აუცილებელია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;

უ) საკონკურსო კომისია – კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტების შემფასებელ ექსპერტთა ჯგუფი;

ფ) ტრანში – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული, კონკრეტული პერიოდისთვის გადასარიცხი/ გადარიცხული სახსრები;

ქ) ფონდი – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ღ) შუალედური ანგარიში – საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ გრანტის მიმღების მხრიდან ფონდში წარდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიშები;

ყ) ძირითადი პერსონალი – გრანტის მიმღები ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ასრულებს/ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს, არის/არიან საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეები, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე პირი/პირები, ასევე , ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი/ პირები. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს: დოქტორის, მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც კონკურსში პროექტის წარმოდგენის მომენტისათვის ირიცხება დამამთავრებელ ან მის წინა კურსზე;

შ) წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანი არის სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

მუხლი 3. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების ფორმების დამტკიცებას;

გ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საკონკურსოდ წარდგენილი განაცხადების ტექნიკურ ექსპერტიზას;

დ) პროექტების შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას, აგრეთვე საკონკურსო კომისიის შექმნას;

ე) ამ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მიმართულებებს შორის თანხის განაწილებას და დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის წესის დადგენას;

ვ) გამარჯვებული პროექტების დამტკიცებას ფონდის გენერალური დირექტორის მიერ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;

ზ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას, დაფინანსებას, მათი განხორციელების მონიტორინგს და ეფექტიანობის შეფასებას დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია:

ა) კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა.ა) საკონკურსო დოკუმენტაცია წარდგენილია არასრულყოფილად ან დადგენილი ფორმების და ვადების დარღვევით, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას;

ა.ბ) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს;

ა.გ) დადგინდება, რომ პროექტის რომელიმე ამოცანა ან აქტივობა უკვე განხორციელებულია პროექტის ძირითადი პერსონალის რომელიმე წარმომადგენლის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით;

ა.დ) საკონკურსო კომისიის მიერ შინაარსობრივი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში დადგინდება კონკურსის მონაწილის მიერ სამართლებრივი ან/და ეთიკის ნორმების დარღვევა;

ბ) კონკურსისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვროს ამ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მიმართულებებისათვის განკუთვნილი თანხა.

4. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების რეგისტრაცია;

გ) კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების შესაბამისობის დადგენა კონკურსის მიზნებისთვის დადგენილ მოთხოვნებთან;

დ) პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ და დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა;

ე) გამარჯვებული პროექტების დამტკიცება გენერალური დირექტორის მიერ;

ვ) გრანტის მიმღებ პირებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება;

ზ) საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი;

თ) საგრანტო პროექტების ეფექტიანობის შეფასება.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის და გრანტის მიღების უფლება აქვს:

ა) ფიზიკურ პირს, პროექტის ხელმძღვანელის სახით (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში);

ბ) ძირითად პერსონალს, წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციასთან ერთად.

2. გრანტის მიმღები პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

3. წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალი პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ბ) აწარმოოს გრანტის ბუღალტრული აღრიცხვა ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით;

გ) უზრუნველყოს პროექტის განხორციელების ანგარიშგება გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად;

დ) შეასრულოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

4. პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული კვლევის განხორციელებაზე, სამეცნიერო შედეგების მიღწევაზე, პროექტის სამეცნიერო ეფექტიანობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

5. პროექტის ძირითადი პერსონალი პასუხისმგებელია პროექტის კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე.

6. პროექტში შეიძლება ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი.

7. კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება ფიზიკურ პირს, თუ იგი ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულია:

ა) ამავე კონკურსზე წარმოდგენილ ორ ან მეტ პროექტში;

ბ) ერთზე მეტ მიმდინარე პროექტში, რომელიც დაფინანსებულია ფონდის მიერ ადმინისტრირებულ საგრანტო კონკურსების ფარგლებში. ეს აკრძალვა არ ვრცელდება ისეთი პროექტის შემთხვევაში, რომლისთვისაც მიმდინარეობს ბოლო საანგარიშო პერიოდი კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის და არ არის მოთხოვნილი დამატებითი ვადა კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე;

გ) ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც შეწყდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო კონკურსის გამოცხადებამდე არაუმეტეს ბოლო 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 5. ძირითადი პროგრამული მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტი უნდა უპასუხებდეს ამ დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თემატიკიდან ერთ-ერთს.

2. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მოიცავს ორ და მეტ თემატიკას, პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია თავად განსაზღვროს პროექტის ძირითადი მიმართულება.

3. პროექტი მიზნად უნდა ისახავდეს სამეცნიერო კვლევის საფუძველზე:

ა) ახალი ცოდნის შექმნას და დისემინაციას აკადემიური პუბლიკაციების გამოქვეყნების და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენის გზით;

ბ) თანამედროვე სტანდარტების სამეცნიერო-აკადემიური დანიშნულების დიგიტალური რესურსის ან/ და ელექტრონული პროდუქციის შექმნას და ინტეგრაციას საგანმანათლებლო პროცესში;

გ) ქართველოლოგიის შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას და კომუნიკაციას;

დ) ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობას მათი კვლევებში ჩართვის ან მათთვის სასწავლო-მეთოდური რესურსების შექმნის გზით;

ე) ახალი ცოდნის პოპულარიზაციას საჯარო ლექციების, გამოფენების, ექსპოზიციების, მასტერკლასების ორგანიზების, მედიაში გაშუქების ან ინტერნეტსივრცეში გავრცელების, ან ციფრულ პლატფორმებზე განთავსების გზით.

4. პროექტის ფარგლებში სასურველია:

ა) საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყება-გაფართოება უცხოეთში არსებულ ქართველოლოგიურ სკოლებთან ან ცენტრებთან;

ბ) ქართველოლოგიის პოპულარიზაცია უცხოეთში ლექციების, მასტერკლასების, გამოფენების, ექსპოზიციების, ჩვენებების, დისკუსიების ორგანიზების გზით.

მუხლი 6. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6, 12, 18 ან 24 თვე.

2. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს.

3. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს/მუხლებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები;

დ) ზედნადები ხარჯები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯვითი კატეგორიები დეტალურად განისაზღვრება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. პროექტი შეიძლება ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას თანადამფინანსებლის მხრიდან.

6. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის და ვადების დაცვით. დადგენილი ბოლო ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

2. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემა საკონკურსო კომისიას.

მუხლი 8. პროექტის შეფასება

1. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიას და ადგენს მისი მუშაობის წესს.

2. საკონკურსო კომისია ახორციელებს პროექტების შეფასებას დადგენილი წესით, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად ფონდისგან რაიმე ჩარევის გარეშე.

3. პროექტების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე შეფასდება პროექტის სამეცნიერო მნიშვნელობა, რომლის დროსაც საკონკურსო კომისიისთვის დაფარული იქნება პროექტის წარმდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების ვინაობა;

ბ) მეორე ეტაპზე შეფასდება პროექტის განხორციელებადობა, რომლის დროსაც შეფასდება პროექტის განმახორციელებელთა კომპეტენციების, კვლევისათვის არსებული და დაგეგმილი რესურსების,

განხორციელების გეგმა-გრაფიკისა და პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის სამეცნიერო მიზნებთან.

4. საკონკურსო კომისია განიხილავს და აფასებს პროექტებს, ადგენს რანჟირებულ სიებს, ავლენს გამარჯვებულ პროექტებს და წარუდგენს გენერალურ დირექტორს დასამტკიცებლად.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) დამატებით მოითხოვოს დარგის ექსპერტის მოწვევა საჭიროების შემთხვევაში;

ბ) კონკურსის მიზნებთან შეუსაბამო პროექტების გამოვლენის შემთხვევაში ფონდს მისცეს რეკომენდაცია მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6. მოწვეული დარგის ექსპერტების ვინაობა კონფიდენციალურია.

7. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი ან/და მოწვეული დარგის ექსპერტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იყოს პირი, რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო ფინანსური ან სხვა სახის პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში, ასევე პირი, რომელიც არის:

ა) ამავე კონკურსის მონაწილე;

ბ) დაინტერესებული მხარე – პროექტში მონაწილე ან მონაწილის ნათესავი.

8. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

9. საკონკურსო კომისიის წევრი ან/და მოწვეული დარგის ექსპერტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებულია საკონკურსო კომისიას და ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ინტერესთა კონფლიქტის და თვითაცილების შესახებ.

10. თუ ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი ფონდისათვის ცნობილი გახდება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

11. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში პროექტის წარმდგენებისათვის პროექტის შეფასების გაცნობას ინდივიდუალურად.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცებისა და შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმებას გრანტის მიმღებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე:

ა) ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია ფონდს წარუდგინოს მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები (ლარის ანგარიში), რომელზეც არ დაირიცხება

სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

ბ) გუნდური პროექტების შემთხვევაში, პროექტში ჩართული იურიდიული პირები ვალდებული არიან ფონდს წარუდგინონ წერილობითი დადასტურება იმის შესახებ, რომ არ გააჩნიათ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

3. საგრანტო ხელშეკრულებით განისაზღვრება პროექტის დაწყების თარიღი, რომლიდანაც აითვლება საანგარიშო პერიოდები და განისაზღვრება პროექტის განხორციელების შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარმოდგენის ვადები, მონიტორინგის მიზნებისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია, ანგარიშის განხილვის წესი და პროექტის დასრულების თარიღი.

4. საგრანტო სახსრების ხარჯვა უნდა განხორციელდეს საგრანტო ხელშეკრულების დაწყებისა და დასრულების თარიღებს შორის პერიოდში, წინაადმდეგ შემთხვევაში გახარჯული თანხები ჩაითვლება არამიზნობრივად.

5. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გრანტის მიმღებს მოეთხოვება პროექტის განხორციელება კონკურსის პირობების დაცვითა და საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით.

6. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, საანგარიშო პერიოდში წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

7. პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი ნებისმიერი ახალი ინტელექტუალური საკუთრება (საავტორო უფლება, პატენტი, მათ შორის, „Know how“) ეკუთვნის გრანტის მიმღებ სუბიექტებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებული არიან, დაიცვან საკუთრების უფლება მესამე პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

8. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნით პროექტში ჩართულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. პროექტში ჩართულ პირებს შორის ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლება რეგულირდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. პატენტიდან გამომდინარე, განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების 10% ეკუთვნის ფონდს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში. ფონდი, თავის მხრივ, ვალდებულია მიღებული მოგება მიმართოს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში.

9. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის, ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში, ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).

10. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

11. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში გრანტის მიმღებს მოსთხოვოს:

ა) ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე პროექტის შედეგების წარდგენა;

ბ) განახლებული ინფორმაცია პროექტის დასრულების შემდგომი განვითარების შესახებ.

მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი და საგრანტო პროექტების ეფექტიანობის შეფასება

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდს წარუდგინოს საგრანტო პროექტის განხორციელების ანგარიში საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ.

2. გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი შუალედური/საბოლოო ანგარიშების წარდგენის საფუძველზე ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

4. ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისათვის ზედნადები ხარჯები სრულად იქნება აღიარებული ხარჯად. ზედნადები ხარჯები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.

5. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე დასრულებიდან 3 წლის ვადაში გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს ინფორმაცია ზედნადები ხარჯების მუხლიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით და შესაბამისი დოკუმენტაცია.

6. ფონდის მიერ ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი, ასევე პროექტის დასრულების თარიღის შემდგომ პერიოდში გაწეული ხარჯები. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით. იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა მეტია ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებული რესურსის, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში, ბოლო საანგარიშო პერიოდში ნაშთად ჩათვლილი რესურსი ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

7. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის შესაბამისად.

8. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და, ასევე, საგრანტო პროექტების ეფექტიანობის შეფასება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

9. პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ საბანკო/სახაზინო ანგარიშებზე ავანსის სახით. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდების შუალედური ანგარიშების განხილვის აქტების საფუძველზე.

10. მონიტორინგის ფარგლებში მიღებული აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

11. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი – ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

12. ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად, ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტისა და დასრულების შესახებ. ფონდი უფლებამოსილია, აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის – ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.

13. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული საგრანტო პროექტების ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.

14. ფონდი არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებზე.

მუხლი 11. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებისა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად შეწყდება პროექტი), თუ:

ა) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია;

ბ) მოხდა შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში გაუქმდა მისი ავტორიზაცია.

3. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები დარეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში ფონდში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, წარდგენილ ანგარიშებზე ფონდის მიერ დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები, აუდიტორული შემოწმების შემთხვევაში, მიღებულია დადებითი დასკვნა, მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 12. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. საგრანტო პროექტის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ფასდება პროექტის სამეცნიერო მნიშვნელობა რვა კრიტერიუმით, ხოლო მეორე ეტაპზე – პროექტის განხორციელებადობა ორი კრიტერიუმით. ეს კრიტერიუმებია:

პირველი ეტაპი - სამეცნიერო მნიშვნელობა	
1. კვლევის სიახლე	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
2. კვლევის ორიგინალურობა	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა

3. კვლევის აქტუალობა	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
4. კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
5. კვლევის მოსალოდნელი შედეგები	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
6. კვლევის შედეგების გავლენა ქართველოლოგიის განვითარებაზე	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
7. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა პროექტით დასახული მიზნების განხორციელებასთან	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
8. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
პირველი ეტაპის შეფასების შეჯამება	**ქულების შეჯამება**
შემაჯამებელი კომენტარი	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 40 ქულა
მეორე ეტაპი - პროექტის განხორციელებადობა	
1. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და მკვლევრების კვლევითი გამოცდილება, პასუხისმგებლობების განაწილება პროექტის განხორციელების მიზნებისათვის	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
2. კვლევის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა
პროექტის შეფასების შეჯამება	**ქულების შეჯამება**
შემაჯამებელი კომენტარი	მინიმუმ 0, მაქსიმუმ 10 ქულა

2. თითოეული კრიტერიუმი ფასდება მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 5 ქულით. ქულობრივი შეფასება ხორციელდება 0.5 ქულის სიზუსტით.

3. კრიტერიუმის ქულები განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება	განმარტება
0	ძალიან სუსტი	პროექტი არ პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს ან ვერ ფასდება საჭირო ინფორმაციის უკმარობის გამო.
1	სუსტი	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.
2	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.
3	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.
4	ძლიერი	პროექტი ზუსტად პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს. გამოკვეთილია ორიგინალურობა და სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
5	გამორჩეული	პროექტი უნაკლოდ პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს. გამოკვეთილია განვითარების მაღალი პოტენციალი. შესაძლებელია არსებობდეს უმნიშვნელო ხასიათის ერთეული შენიშვნები, რომლებიც არ ეხება სამეცნიერო პოტენციალს.

4. პირველი ეტაპი – სამეცნიერო მნიშვნელობა შეფასდება მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო მეორე ეტაპი – პროექტის განხორციელებადობა შეფასდება მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 10 ქულით.

5. პირველ ეტაპზე შეფასების შემდეგ პროექტი შეძლებს მეორე ეტაპზე გადასვლას, თუ პირველ ეტაპზე

პროექტი შეფასდება ჯამურად 32 ან მეტი ქულით. 32 ქულაზე ნაკლები ჯამური ქულის დაგროვების შემთხვევაში პროექტი იხსნება კონკურსიდან.

6. ორივე ეტაპის შეფასების ქულათა ჯამი შეადგენს მინიმუმ 32 და მაქსიმუმ 50 ქულას.

7. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა შეფასების ორივე ეტაპზე ჯამურად მიიღოს 40 ან მეტი ქულა.

8. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელსაც უფრო მაღალი შეფასება აქვს პირველი კრიტერიუმით, შემდეგ მეორე, მესამე და ა.შ. თანმიმდევრულად, მეათე კრიტერიუმის ჩათვლით. ყველა კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომელიც ფონდისაგან მოითხოვს ნაკლებ საგრანტო დაფინანსებას.